ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების

სტუდენტების საყურადღებოდ!

პროფესორ იოჰანეს გროცკის საჯარო ლექცია თემაზე

„რატომ უნდა ავირჩიოთ ჟურნალისტის პროფესია?“

გაიმართება

17 სექტემბერს, 16:00, თსუ-ის, მე-6 კორპუსის 303 აუდიტორიაში (დარბაზი)

პროფესორი იოჰანეს გროცკი (Prof. Johannes Grotzky) - ცნობილი გერმანელი ჟურნალისტი, პუბლიცისტი, სამხრეთ ევროპის და რუსეთის მცოდნე, სლავისტი, ბამბერგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთევროპის მეცნიერებათა, კულტურისა და მედიის პროფესორი.

დაიბადა 1949 წელს ჰილდესჰაიმში. 1983-1989 იყო ARD (გერმანიის საზოგადოებრივი მაუწყებლობის) კორესპონდენტი მოსკოვში, 1989 – 1994 – ARD-ს სამხრეთ ევროპის ბიუროს ხელმძღვანელი ვენაში, შემდომში ისევ მიუბრუნდა ბავარიის საზოგადოებრივ მაუწყებელს. აშუქებდა ომს და კონფლიქტებს, მისი რესპონდენტები იყვნენ რომის პაპი, ჰილარი კლინტონი, მსტისლავ როსტროპოვიჩი და სხვ.

37 წელი მუშაობდა გერმანიის რეგიონალური ბავარიის საზოგადოებრივი ტელემაუწყებელზე (Bayerischer Rundfunk), აქედან 12 წელი როგორც ხელმძღვანელი. 1996 წლიდან კითხულობს ლექციებს მიუნხენის, შემდგომ კი ბამბერგის უნივერსიტეტებში. 2014 წლიდან ბამბერგის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია.

გროცკი:

"რადიო გულწრფელი მედიუმია: ხმაზე მაკიაჟი ვერ გაკეთდება".

თარგმანი უზრუნველყოფილია

ორგანიზებულია Deutsche Welle Akademie-ს მხარდაჭერით. საკონტაქტო პირი: Deutsche Welle Akademie-ს წარმომადგენელი საქართველოში ამალია ოგანჯანიანი / amalia.oganjanyan@dw.de